პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 129 (9220)

3 ივლისი, ხუთშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

### ...აქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტში

# ფეხბურთის ღალატი ...არავის ეპატიება

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ...ოველ წარუმატებლობას, თავმოყვარეობის შემლა...ავ, დამამცირებელ წაგებას (და არა ვაჟკაცურ ...რძოლაში განცდილ მარცხს), ყოველთვის მტკივ...ეულად განიცდის გულშემატკივარი.

„დინამოს“ ქომაგებზე დამთრგუნველად მოქმე...ებს არა მარტო ის, რომ გუნდი აგებს, არამედ ის ...რაჯანსალი მითქმა-მოთქმაც „დინამოსა“ და დინა...ოელებზე, რაც ხშირად ისმის კულისებში. გულ...ემატკივრებს არ სურთ დაიჯერონ, რომ ფეხბურ...ელები, რომლებსაც ხალხი ასეთი დიდი სიყვარუ...ით ეკიდება, თამაშში თუ წვრთნის დროს საკუ...არი შესაძლებლობების მაქსიმუმს არ ავლენენ. ...აგრამ ფაქტები და ბოლოდროინდელი მოვლენები გვაიძულებენ კრიტიკულად მივუდგეთ „დინამოს“ საკითხს. ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ქართული ფეხბურთის ბედ-იღბალი, სამართლიანად არის შეშფოთებული. მეტის მოთმენა ნამდვილად აღარ შეიძლება. დროა ყველაფერი გაირკვას, ყველაფერს თავის სახელი დაერქვას, პირდაპირ ვუთხრათ გუნდის ხელმძღვანელებს, თითოეულ ფეხბურთელს ის, რაც ხალხს აწუხებს, რაც ჭეშმარიტ გულშემატკივარს სტკივა. კონკრეტულად ყველამ უნდა აგოს პასუხი, ვინაც სამარცხვინო ჩავარდნამდე მიიყვანა საერთოდ ქართული ფეხბურთი და კერძოდ თბილისის „დინამო“. ამ სულისკვეთებით ჩაიარა კოლეგიის სხდომამ, რომელიც ამ დღეებში ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში გაიმართა.

**...ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ „ᲓᲘᲜᲐ...ᲝᲡ“ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ ...ᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘ...ᲓᲐᲜ:**

„...სეზონის დასაწყისში სერიოზუ...ი გეგმები გვქონდა დასახული, ...აგრამ ჩემპიონატის პირველი წრე ...ლიან ცუდად დავამთავრეთ. გუნ...ის დაკომპლექტება დავიწყეთ გა...ული წლის დეკემბერში და, სამ...უხაროდ, ეს პროცესი დღემდე ...რძელდება. გუნდის მოთამაშეები ...ლებს შეიძლება სამ კატეგორიად ...ავყოთ. პირველ ჯგუფში შედიან ...0 წელს გადაცილებული მოთამა...ეები, მეორეში — 25-26-წლიანე..., მესამეში ისინი, რომელთა ასა... 21-23 წელია. ამას შეიძლება ...ემატოს პერსპექტიულ ფეხბურ...ელთა კატეგორია — 20 წლამ.... გუნდში წელს ბევრი ფეხ...ურთელი დაშავდა. ავად არიან ...ენგელია, სულაქველიძე, ჩელება.... ჩივაძე ნაკრებიდან დაშავებუ...ი დაბრუნდა, მუხლი სტკივა გა...ელიას. მეორე კატეგორიის ფეხ...ურთელთა შორის ტრავმები ნაკ...ებია, მაგრამ ისინი ვერ ავლენენ ...ესაძლებლობის მაქსიმუმს. დათ...რბამ, გასამწვავებელი სიტუაციე...ისადმი შემრიგებლურმა პოზი...იამ, შემწყნარებლობამ საქმე გა...უარესა. იმედს ვამყარებთ უგრე...ლიძეზე, რომელიც მაისში მოვიწ...იეთ გუნდში. ახლანდელი ჩავარდ...ის ერთ-ერთ მიზეზად მიმაჩნია ...ს, რომ არ გვყავს საიმედო სათა...არიგო შემადგენლობა. გუნდს კი ...აიმედო დუბლშემადგენლობა სჭი...დება. აუცილებლად უნდა გაძლი...რდეს სელექციური მუშაობა. გან...აკუთრებულ ყურადღებას მოით...ოვს მუშაობის გარდაქმნა მოზარ...ეთა საფეხბურთო სკოლებში, რა...გან ამ საქმიანობის შედეგი შემ...ეგ ოსტატთა გუნდებში იჩენს ...ავს. „დინამოს“ კვალიფიციურ ...ევსებას ველარ აწვდიან. ჩივაძისა ...ა სულაქველიძის ავადმყოფობის ...როოდში არ მოხერხდა შემცვლე...ი მოთამაშეების გამონახვა. იმე...ი გვაქვს, ახლო მომავალში დავ...ლევთ სირთულეებს, მივაღწევთ ...უნდის სრულ სტაბილურობას, კო...ექტივში მოხდება აუცილებელი ...ვლილებები. შემადგენლობის გა...ხალგაზრდავების კურსი სწორად მიგვაჩნია და ესეც გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს.

კოლეგიის წევრები დააინტერესა რამდენიმე საკითხმა, რომლებზეც მათ პასუხი გასცა ნოდარ ახალკაცმა. ერთ-ერთ პასუხში გუნდის უფროსმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ბევრი საკითხის გადაწყვეტას სჭირდება ერთიანი მიდგომა, პრესისა და საზოგადოებრიობის ერთიანი აზრი.

— ვინ უნდა მართოს ეს პროცესი? — ჰკითხეს ახალკაცს და იქვე დასძინეს, რომ, პირველ ყოვლისა, ისევ და ისევ გუნდის ხელმძღვანელობამ. როცა გუნდის ხელმძღვანელები გაურბიან ჩვენი პრესის წარმომადგენლებს, ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი ურთიერთთანამშრომლობაზე, საერთო აზრის გამომუშავებაზე და ერთიან პოზიციაზე. კითხვაზე, რას აკეთებს ხელმძღვანელობა კოლექტივის შესაკავშირებლად, ახალკაცმა უპასუხა: „კოლექტივი პირველ ყოვლისა, უნდა გაერთიანდეს შრომაში. პირადად ჩემთვის ძნელი ასატანია, როცა ფეხბურთელი უსულგულოდ ეკიდება გუნდის ინტერესებს, ულიმღამოდ ვარჯიშობს ან თამაშობს. მაგრამ, არ დაგიმალავთ, გუნდს, მის წევრებს ჯერ კიდევ აკლიათ საერთო კულტურა და... გვაკლია შედეგიც“.

— სელექციაზე რას იტყვით? — ჰკითხეს შემდეგ მთავარ მწვრთნელს.

— რეზერვი არის, მაგრამ მათთან მეტი მუშაობაა საჭირო. ჩვენ სადღეისოდ გასინჯული გვყავს 14-15 წლის ყველა პერსპექტიული მოზარდი. მინდა დავძინო: ყველაზე დიდი რეზერვი ჩვენს მუშაობაში — ეს არის საქმის უკეთ ორგანიზაცია.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვა მისცეს გუნდის სხვა ხელმძღვანელებსაც, მაგრამ მალე გაირკვა, რომ არც კოტრიკაძეს და არც ხინჩაგაშვილს არ სურდათ გულახდილობა გამოეჩინათ. ისინი შეეცადნენ ვითარების შელამაზებას, სასურველის სინამდვილედ გასაღებას, რაც საკუთარი „მუნდირის“ დაცვის სურვილით უფრო იყო ნაკარნახევი. და მაინც, ორივე ხელმძღვანელს ჰკითხეს: იციან თუ არა მათ, რა ხდება გუნდში, იზიარებენ და ატარებენ თუ არა კოლექტივში უფროსი მწვრთნელის კურსს? პასუხი დადებითი იყო, მაგრამ კიდევ რამდენიმე შეკითხვის დასმისა და კონკრეტული ფაქტების მოხმობის შემდეგ ნამდვილი ვითარება გაირკვა. არც ხინჩაგაშვილმა და არც კოტრიკაძემ არ იციან, რით ცხოვრობენ ფეხბურთელები მოედნის მიღმა, რა საზრუნავი აქვთ და რა აწუხებთ, სად დადიან და ვის მეგობრობენ, „ვერ ამჩნევენ“ ფეხბურთელთა კერძომესაკუთრულ მისწრაფებებს. გუნდის ხელმძღვანელები ყოველთვის არ დგანან ერთიან პოზიციებზე.

**ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ Შ. ᲮᲘᲜᲩᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲓᲐᲜ:** „ვატყობ, გუნდში არ არის საქმიანი კონტაქტი და ერთსულოვნება ვეტერან და ახალგაზრდა მოთამაშეებს შორის. ახალგაზრდებს ჰგონიათ, რომ ვეტერანები გუნდში მხოლოდ სახელისათვის გვჭირდება. მე კი ვეუბნები — აგერ მოედანი, დაამტკიცეთ თქვენი ძალა და უპირატესობა-მეთქი. მე ვფიქრობ, სადღეისოდ გუნდს მეტი არ შეუძლია“.

### მანქანები, მანქანები...

კოლეგიაზე საუბარი იყო ერთი შეხედვით დაუჯერებელ ამბავზე, რომელმაც კიდევ უფრო გამოააშკარავა დინამოელთა მომხმარებლური დამოკიდებულება სპორტისადმი. მაგალითად, დაიჯერებდით, რომ ჩელებაძის სახელზე ამჟამად ოთხი საკუთარი მანქანა ირიცხება, აქედან სამი ჯერაც არ გაუსხვისებია, მაგრამ სხვები დადიან მისი მინდობილობით? დაიჯერებდით, რომ გუცაევმა ბოლო 7 წელიწადში ექვსი მანქანა მიიღო? რომ მესხს სულ ახლახან ახალი მანქანა მისცეს და თვითონ ერთხელაც არ ჩამჯდარა შიგ, ისე „გაასხვისა“? ან იმას იფიქრებდით, რომ იმ დროს, როცა კანონი ოფიციალურად კრძალავს რესპუბლიკის გარეთ მსუბუქი ავტომანქანის შეძენას, შეიძლებოდა არა სამამულო წარმოების, არამედ უცხოური საფირმო მანქანის შემოყვა-

იხ. მე-2 გვ.

### ჭაბუკთა საკავშირო პირველობა კალათბურთში

# მოგებაც არის და მოგებაც

სულ ახლახან ვილნიუსში დამთავრდა საკავშირო პირველობა კალათბურთში ოლიმპიური რეზერვის სკოლების ვაჟთა გუნდებს შორის. 1971-1972 წ.წ. დაბადებული სპორტსმენთა მონაწილეობით გამართულ ნებისმიერ შეჯიბრებას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მოსწავლეთა მორიგ საკავშირო სპარტაკიადაში სწორედ მათ უნდა იასპარეზონ.

ვილნიუსის ტურნირი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ასპარეზობაში ფაქტიურად ყველა უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა (ზოგი მათგანი სპარტაკიადაზე უცვლელი შემადგენლობით წარდგება, ზოგი კი, ცხადია, დამატებით შევსებას მიიღებს). ბალტიისპირეთში ასეთი ტურნირის მოგება მეტად ძნელი საქმეა, სწორედ ამიტომ უფრო გვახარებს თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლის კალათბურთელთა წარმატება (დირექტორი ლევან ჩხიკვაძე, უფროსი მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი). მათ ამ საპასუხისმგებლო ტურნირში ყველა შეხვედრა მოიგეს და პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

მაგრამ მოგებაც არის და მოგებაც. ჩვენი კალათბურთელების გამოსვლა ვილნიუსში იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ სპეციალისტთა აღიარება და საერთო მოწონება დაიმსახურა. დააკვირდით თბილისელთა მიერ მოგებული შეხვედრების შედეგებს (ლენინგრადთან — 87:42, ბელორუსიასთან — 82:54, მოსკოვთან — 94:59, ლატვიასთან — 78:47, რუსეთის ფედერაციასთან — 96:56, უკრაინასთან — 85:75 და ლიტვასთან — 68:60). ისინი ჩვენი გუნდის სრულ უპირატესობაზე მიგვანიშნებენ. იქნებ გგონიათ ტურნირის შემადგენლობა სუსტი იყო და მონაწილენიც ამ შეჯიბრებას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ? არა, ეს ასპარეზობა სასპარტაკიადო მზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო და ბუნებრივია, ყველა ცდილობდა თავისი ძალა ეჩვენებინა. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი გუნდი სპარტაკიადის წინ გარკვეულ შევსებას მიიღებს, მაგრამ ისინი ვილნიუსში ძირითადი ბირთვით წარსდგნენ (მეორე ადგილი ლიტვის ნაკრებმა დაიკავა, მესამეზე მოსკოველი კალათბურთელები გავიდნენ).

თბილისში დაბრუნებულ მწვრთნელებს ვთხოვეთ ტურნირის შესახებ აზრი გამოეთქვათ. გვითხრეს, რომ შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული და ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავა. არც ერთი მოთამაშე საგანგებოდ არ გამოუყვიათ. აღნიშნეს გუნდის ერთსულოვნება, საბრძოლო სულისკვეთება და კოლექტიური მიზანსწრაფვა. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო — ნაკრების თითქმის ყველა წევრი ხომ 58-ე სპორტული სკოლის ერთი კლასის მოსწავლეები არიან. მწვრთნელებმა მადლიერების გრძნობით მოიხსენიეს ბაზალეთის ტურბაზის დირექცია, რომელმაც გუნდს შეჯიბრებისწინა სამზადისის დროს ყველა პირობა შეუქმნეს.

ერთ, არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი. შარშან ამავე გუნდმა საკავშირო პირველობაში II საპრიზო ადგილი დაიკავა. ასე რომ, მისი წლევანდელი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. გარდა ამისა, თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლის კალათბურთელებმა ერთი სასწავლო წლის მანძილზე სხვა მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს: ოქტომბერში ამ სკოლის აღსაზრდელებმა მინი-კალათბურთის საკავშირო ფესტივალზე გაიმარჯვეს 1973-1974 წ.წ. დაბადებულთა შორის (მწვრთნელი გ. ქილიტაური), მარტის არდადეგებზე კი „მართვეს“ გუნდმა 1970-1971 წლიანთა საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა (მწვრთნელები თ. ოქრუაშვილი, ვ. ჭკუასელი და გ. მიქაძე). თქმა არ უნდა, საიმედო სტაბილურობაა.



შეტევაზეა შეჯიბრების საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი, ტურნირის ყველაზე ტანმაღალი მონაწილე (204 სმ) კახა შენგელია.




სურათზე: საკავშირო პირველობაში გამარჯვებული თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლის გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან): პაატა ჩიბალაშვილი, ლაშა ვაშაკიძე, ირაკლი ბაქრაძე, დათო უსტიაშვილი, ზურაბ საკანდელიძე, დათო ცისკარიშვილი, მამუკა წიკლაური. დგანან (მარცხნიდან) უფროსი მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი, კახა შენგელია, გოდერძი კორძაძე, ბექა ბოლქვაძე, მწვრთნელი ავთანდილ ჩხიკვაძე, არჩილ ხელაშვილი, ივერი ჩხეტიანი და მწვრთნელი ჯამლეთ ხუხაშვილი.

### სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა ველოსპორტში

# მრავალდღიანი რბოლის ფინიში

**ᲡᲘᲛᲤᲔᲠᲝᲞᲝᲚᲘ.** ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე შედგა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მრავალდღიანი ველორბოლის საზეიმო დახურვა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

მანამდე კი მეთორმეტე და მეცამეტე ეტაპები მოეწყო. მეთორმეტე ეტაპი (104 კმ) უზბეკეთის წარმომადგენლებმა დ. აბდულჯაფაროვმა მოიგო, მეცამეტეზე კი უძლიერესი რუსეთის ფედერაციის გუნდის წევრი ს. უსლამინი იყო. უსლამინის უპირატესობით აღინიშნა რბოლა საერთო პირად ჩათვლაშიც. გუნდური პირველი ადგილი კი რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიგო, რომლის ღირსებას მ. განეევი, დ. კონიშევი, ა. საიტოვი, ვ. საპრონოვი, ა. სიტნოვი, ა. ტრუბინი და ს. უსლამინი იცავდნენ.

პირად ჩათვლაში მეორე ადგილზე დ. კონიშევი (გორკი) გავიდა, მესამეზე კი ო. ჩუქდა (როვნო). რუსეთის ფედერაციის ნაკრების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში მეორე და მესამე ადგილები ბელორუსიისა და ყაზახეთის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს.

## ყურადღება!

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებში კვლავ ხდება უდისციპლინობისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევები, დღეს, 16 საათზე, თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდება საგანგებო თათბირი. თათბირზე მოწვეულნი არიან რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეები და საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდების მწვრთნელები.

# ფეხბურთის ღალატი არავის ეპატიება

(დასასრული)

ნაც კი? დინამოელებმა შეძლეს. თანაც ერთმა და ორმა კი არა, რამდენიმემ...

მაინც რა გაფუჭდა ისეთი? თავი და თავი აქ ის ბოროტებაა, რასაც კოლექტივში შურის გაღვივება ჰქვია, როცა ყველაფერი (ფეხბურთის თამაშიც კი!) მუშტრის თვალით იზომება, როცა ახალგაზრდა, რომლის გვერდითაც შენ ცხოვრობ, ვარჯიშობ, თამაშობ და თავისუფალ დროს ატარებ, იმაზე კი არ ფიქრობს, რომ შენსავით სახელიანი სპორტსმენი იყოს, არამედ, ოცნებობს, როდის ექნება შენისთანა ბინა და აგარაკი, უცხოური მანქანა და იმის უფლებაც, შენსავით გულგრილად მოეკიდოს მწვრთნელის დავალებებს, ვარჯიშს... ამის გაფიქრებაც კი უკვე ტრაგედიაა. ახალგაზრდა სპორტსმენი იმას ახერხებს, რომ ზოგიერთი უფროსი თანაგუნდელის მსგავსად აგდებულად ეკიდება წვრთნას... ანდა მარტო ამგვარი განწყობა, უხალისო ვარჯიში და თამაში რამდენ ზიანს აყენებს თვით სპორტსმენს და გუნდს.

როცა კოლეგიაზე გუნდის უფროსს შ. ხინჩაგაშვილს და მწვრთნელს ა. კოტრიკაძეს კითხეს, იცოდნენ თუ არა მათ გუნდის წევრებიდან ვის რამდენი მანქანა ჰყავდა, ან ის, რომ მანქანების გაცვლა-გამოცვლა, „ინომარკებით" თავის მოწონება ფეხბურთელების გატაცებად იქცა, გაიოცეს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ამ ფაქტის შესახებ, რომელიც აღმზრდელობით მუშაობაში გუნდის და მისი ხელმძღვანელების ფარულ მტრად იქცა, დღემდე საერთოდ არ სმენიათ.

... კი მაგრამ, ვინ მისცა დინამოელებს ამდენი მანქანა, თანაც მათ შორის უცხოურიცო, იკითხავთ. ძალიან ხელგაშლილები ვიყავით, ალტაცებაში ზომიერებას ვკარგავდით და მადლობას არ ვჭერდებოდით — მანქანებითაც „ვაჯილდოებდით" სანაქებო ფეხბურთელებს. სამამულო მანქანები გვაქვს მხედველობაში. „ინომარკებს" სულ სხვა ისტორია და ქვეტექსტები აქვს.

კოლეგიაზე გაირკვა, რომ უცხოური მარკის მანქანები ძირითადად მოსკოვიდან შემოდის. რა თქმა უნდა, ეს რესპუბლიკის ინსპექტორებმა ვერც საავტომობილო ტრასაზე „შეამჩნიეს" და ვერც დედაქალაქში „ამჩნევენ". ალბათ, ინსპექციის მუშაკებსაც ხელშეუხებელი ჰგონიათ დინამოელები. ნებსით თუ უნებლიეთ ისინიც ხელს უწყობენ ფეხბურთელთა თვითნებობას და თავგასულობას. ჩელებაძემ, ჟორდანიამ, მესხმა კანონის გვერდით ავლით შეიძინეს უცხოური მარკის მანქანები რესპუბლიკის გარეთ.

როგორც გაირკვა, ცდუნებას ვერ უძლებენ არა მარტო დინამოელები, თვით ამ საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკებიც, ვის ხელშიც არის მსუბუქი ავტომანქანების განაწილების საქმე.

**ამონაწერი კოლეგიისადმი წარდგენილი ინფორმაციიდან: „1985-1986 წლებში სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ სპორტისა და სპორტსმენებისთვის გამოყოფილი მსუბუქი ავტომანქანები გასცა ისეთ პირებზე, რომელთა მიმართ ასეთი „ყურადღება" თავისთავად იძლევა მითქმა-მოთქმის საბაბს. ესენი არიან: ა. თევოსიანი — სპორტკომბინატ „დინამოს" მძღოლი, შ. ხაბელაშვილი — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინჟინერი, კ. შანიძე — სპორტკომბინატის ინჟინერ-ელექტრიკოსი, ზ. ჩიბუხაშვილი — ტრიკოტაჟის ფაბრიკის ოსტატის თანაშემწე, ა. საგოიანი — უქსოვადი ნაწარმის ფაბრიკის მთავარი ბუღალტერი...**

**თბილისის „დინამოში" გაზაევის გამოჩენას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, მაგრამ გულშემატკივარი მომთმენია, მით უფრო, როცა უფროს მწვრთნელს ენდობა. რა ამოძრავებდა თვით გაზაევს? ახლა ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლება ითქვას — მხოლოდ პირადი ინტერესები. თანაგუნდელთა უსუსური თამაშის ფონზე გაზაევი ერთხანს მართლაც „ჩანდა" მინდორზე, გოლებიც გაჰქონდა, მაგრამ თანდათან იზრდებოდა მისი პრეტენზიები მოედნის გარეთ; იგი კოლექტივზე მაღლა აყენებდა საკუთარ თავს.**

**დამატებითი ინფორმაცია პიროვნული პორტრეტის შტრიხისათვის: თბილისის „დინამო", როგორც მოვლენების შეფასებით ირკვევა, გაზაევისთვის ის გუნდი უნდა ყოფილიყო, სადაც იგი თამამად შეძლებდა თავისი სურვილებისა და პრეტენზიის დაკმაყოფილებას.**

**... 1980 წელს ამ ფეხბურთელმა მოსკოვში საუკეთესო უცხოური მარკის მანქანა შეიძინა. თბილისის „დინამოში" გადმოსვლის შემდეგ, როცა იგრძნო, რომ გუნდს მის გარეშე „ყოფნა აღარ შეეძლო", გაზაევმა 10 ივნისს თავისი უცხოური „სიტროენი" მოსკოვში აღრიცხვიდან მოხსნა და, როგორც უკვე თბილისელმა, თან „გამოიყოლა". იმავე დღიდან დაიწყო გაზაევმა ზღაპრულ ფასებში თბილისელ მუშტრებთან გარიგება — რესპუბლიკის გარედან შემოყვანილი მანქანებით ვაჭრობის მკაცრი შეზღუდვის პირობებში ასეთ შანსს ხელიდან ხომ არ გაუშვებდა. თუ ყველაფერს რეალურად შევაფასებთ, იმ დასკვნამდეც მივალთ, რომ გაზაევს ყველა სვლა ზუსტად გათვლილი ჰქონდა — თბილისის „დინამოში" გადმოსვლაც ერთ-ერთი სვლა იყო მიზნის მისაღწევად.**

**ახალკაცი აჩქარდა, როცა „დინამოში" მოიწვია გაზაევი, მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო სპორტკომიტეტი არ ურჩევდა გადაედგა ეს ნაბიჯი.**

**კოლეგიამ ცნობად მიიღო:** გაზაევი გარიცხულია თბილისის „დინამოს" გუნდის შემადგენლობიდან.

**კოლეგიამ გადაწყვიტა:** დაევალოს გუნდის ხელმძღვანელობას საქმე ისე მოაგვაროს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ყველა უცხოური მარკის მანქანა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

**აზრი, რომელიც კოლეგიის სხდომაზე გამოითქვა:** პირადი კეთილდღეობისკენ მისწრაფება და სპორტისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების ფსიქოლოგია მეღავნდება იმაშიც, რომ ბევრ ფეხბურთელს სპორტიდან წასვლის შემდეგ რეკომენდაციებს უწევენ პრესტიჟულ ორგანიზაციებში სამუშაოდ. გუნდში ნაკლები შრომით მეტის მიღებას შეჩვეულები ცხოვრებაშიც უშრომელ შემოსავალს ესწრაფვიან და ხშირად სავალალოდ მთავრდება „თბილ ადგილზე" მათი „მოღვაწეობა". ფეხბურთელები ისწრაფიან მიიღონ ასევე პრესტიჟული სპეციალობის დიპლომი, რისთვისაც ერთი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მეორეში შედიან. ეს საკითხებიც გადახედვას და დასკვნის გამოტანას მოითხოვს. მეტისმეტი, დაუმსახურებელი შეღავათები, ყველა სურვილის ასრულება გამხრწნელად მოქმედებს სპორტსმენებზე. ამან ყველა უნდა დააფიქროს.

**კოლეგიაზე ითქვა: ნოდარ ახალკაცის გუნდში დაბრუნება გარკვეულ იმედებთან იყო დაკავშირებული. ახალკაცი გამოცდილი სპეციალისტია და სრული ნდობით სარგებლობს, მაგრამ მის მიერ კოლექტივში ხელახლა მოსვლის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც დრომ გვიჩვენა, ყოველთვის არ იყო ლოგიკური და საბოლოო შედეგისთვის გამიზნული. არ გაამართლა ვეტერანებზე ორიენტაციამ. გუნდში მოთამაშე ვეტერანი ფეხბურთელები, რომლებმაც თითქმის ყველაფერი მიიღეს, გულგრილად ეკიდებიან მოვალეობას და საერთო ინტერესებს; არის შემთხვევები, როცა ისინი არ ასრულებენ უფროსი მწვრთნელის მითითებებსა და დავალებებს.**

ისეთი ცნობილი ფეხბურთელი, როგორიცაა გუცაევი, ვერ იქცა ახალგაზრდებისთვის მისაბაძ მაგალითად. იგი წელს გარიცხეს გუნდიდან, შემდეგ თითქოს შეიგნო, რასაც მისგან მოითხოვდნენ, ბოდიშის მოხდით დაუბრუნდა კოლექტივს, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მხარში ამოსდგომოდა „დინამოს" ხელმძღვანელებს, თავისი ქცევით, მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებით გაზაევთან ერთად გუნდში არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნიდა.

ახალგაზრდა თანაგუნდელებს ვერც შენგელია აძლევს კარგ მაგალითს.

**გუცაევს კოლეგიაზე ჰკითხეს,** რატომ მიატოვა თვითნებურად სეზონისათვის მზადების პროგრამით გათვალისწინებული საწვრთნელი შეკრება ლესელიძეში ბოლო პერიოდში? მან უპასუხა: მაშინ ემოციებს ავყევი, ავჩქარდი, რატომღაც ვიფიქრე, რომ გუნდისთვის საჭირო აღარ ვიყავიო.

კოლეგიამ სამართლიანად შეიტაია ეჭვი ამ და სხვა შეკითხვებზე გუცაევის მიერ გაცემული პასუხების გულახდილობასა და გულწრფელობაში.

**კოლეგიის მასალებიდან: გუნდის ხელმძღვანელობა, თვით ახალკაცი, ხინჩაგაშვილი, კოტრიკაძე და ცერცვაძე ყოველთვის როდი არიან კოლექტივში ერთიანი პოლიტიკის გამტარებელნი. ბევრი ნაკლი, რომელმაც ასე მწვავედ იჩინა თავი, პირველ ყოვლისა, საქმისადმი ხინჩაგაშვილის, კოტრიკაძისა და ცერცვაძის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებიდან იღებს სათავეს. გუნდის თითოეულ წევრთან ინდივიდუალურ მუშაობას ხშირად ცვლიდა განაწყენებული ფეხბურთელების უსიტყვო თანაგრძნობა, რაც აფერხებდა გუნდში უფროსი მწვრთნელის აზრის გატარებას.**

**გუნდში დისციპლინას და აღმზრდელობით მუშაობას, ფეხბურთელთა ზნეობრივ ფორმირებას სათანადო ყურადღება რომ ექცეოდეს, ცხადია, სპორტისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება და პირადი კეთილდღეობისკენ საზოგადოებრივი ნორმების სრული დარღვევით მისწრაფება ასე მტკიცედ ვერ მოიკიდებდა ფეხს.**

**ნოდარ ახალკაცს კოლეგიაზე ჰკითხეს:** „გრძნობთ თუ არა მუშაობაში გუნდის სხვა ხელმძღვანელთა მხარდაჭერას?"

**ნ. ახალკაცის პასუხი:** „მე ვთვლი, რომ, თუ სპორტსმენის დასჯის მიზნით რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებთ, ყველა ხელმძღვანელის აზრი ერთნაირი უნდა იყოს. მაშინ საზოგადოებრიობა ყველაფერს კარგად გაიგებს".

კოლეგიის წევრები შემდეგ ცალკე შეხვდნენ „დინამოს" ფეხბურთელებს. გუნდის თითოეულ წევრს სთხოვეს გამოეთქვა თავისი აზრი, დაუფარავად ელაპარაკა ხელშემშლელ მიზეზებზე. ყველა გამოსვლა თითქმის იდენტური იყო, საერთო აზრი კი ასეთი გახლდათ: რაც შეგვიძლია, ვთამაშობთ, ხელს არაფერი გვიშლის, ვნანობთ, რომ გუნდში ასეთი მდგომარეობა შეიქმნაო. მაგრამ ეს არ იყო გულწრფელი სიტყვები. როცა ფეხბურთელებს გაახსენეს ფაქტები, რომლებშიც ყველაზე უკეთ ჩანს მათი სახე და მისწრაფება, შთაბეჭდილება რადიკალურად შეიცვალა.

„მანქანები? გვაძლევდნენ და ვიღებდით", — იყო პასუხი. გუცაევმა და ჩელებაძემ ზუსტად ვერც გაიხსენეს, რამდენი მანქანა მიუღიათ და რამდენი დღესაც ირიცხება მათ სახელზე. როცა ფეხბურთელებს რესპუბლიკის გარეთ უცხოური მანქანების უკანონოდ შეძენის გამო მოსთხოვეს პასუხი, მესხმა ცინიკურად განაცხადა: მე ვფიქრობ, ფეხბურთელი უკეთესად ითამაშებს, თუ უკეთესი მანქანით ივლის; აბა „ზაპოროჟეცით" ხომ არ უნდა ვიაროთო (?!).

ჩელებაძეს, გუცაევს, გურულს შეახსენეს ბოლოდროინდელი ფაქტები, როცა ისინი თვითნებურად ტოვებდნენ გუნდს და მიემგზავრებოდნენ რაიონებში. ჩელებაძე ერთ-ერთი ბოლო მატჩის შემდეგ შინაც არ მივიდა. როცა გუნდს დაუსვეს შეკითხვა, რომელიმე მოთამაშეს თუ ჰქონდა სურვილი დამატებით ევარჯიშაო, ვერც ერთმა ვერ უპასუხა. ასე „შეივსო" ფეხბურთელთა განცხადება, რომ ისინი წუხან გუნდის დღევანდელი მდგომარეობის გამო, რომ „მეტი არ შეუძლიათ" და ა. შ.

**ფრაზები ფეხბურთელთა გამოსვლებიდან: კეტაშვილი — „ჩვენ გავაფუჭეთ საქმე და გამოსწორებითაც ჩვენ უნდა გამოვასწოროთ"; გაბელია — „წელს ისე კარგად ვემზადებოდით, არ მეგონა, თუ ამ ყოფაში ჩავცვივდებოდით"; ჭედია — „მე მჯერა ჩემი გუნდისა, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის"; სულაქველიძე — „ჩვენ რომ ახლა ფეხბურთს ვთამაშობთ, ამას თამაში და ფეხბურთი არ ჰქვია"; კაკილაშვილი — „გუნდი ისეთ მდგომარეობაშია და ჩვენ ისეთ დღეში ვართ, თავს ვერაფრით ვიმართლებთ"; გუცაევი — „ყველას მიგვიძღვის ბრალი იმის გამო, რომ გუნდმა პირველი წრის თვის დასახული ამოცანა ვერ შეასრულა..."**

**კოლეგიის წევრთა გამოსვლებიდან: „კოლეგიის სხდომაზე დასმულმა შეკითხვებმა უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა „დინამოს" კოლექტივში დღეს არსებულ მდგომარეობაზე, ვიდრე თვით დინამოელთა გამოსვლებმა, იქ, სადაც წინა პლანზე პირად კეთილდღეობაზე ზრუნვაა წამოწეული, საჭიროა გადამჭრელი ზომების გატარება ვითარების გაჯანსაღებისთვის"; „როგორც ჩანს, გუნდში არაჯანსაღი ატმოსფეროა და კოლექტივის ხელმძღვანელებს ძალიან გონივრული გადაწყვეტილებების მიღება მართებთ"; „გაურკვეველია გუნდში მწვრთნელ ცერცვაძის როლი. ახალგაზრდებთან საჭიროა მეტი მუშაობა. სწორია გუნდიდან გაზაევის გარიცხვა, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, არ მოგვეწვია იგი"; „ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს შექმნილ ვითარებაში გუნდის ხელმძღვანელების პოზიცია. ისინი მოვლენათა პასიური მოწმეები უფრო არიან, ვიდრე ორგანიზატორები, რომლებსაც მუშაობის გარდაქმნის უნარი შესწევთ"; „ვინც ხელს უშლის გუნდის ნორმალურ ცხოვრებას, ის აუცილებლად უნდა მოვიშოროთ და მკაცრადაც დავსაჯოთ"; „იგრძნობა, რომ გუნდში პატივს არ სცემენ საჯაროობას. ბევრი საკითხი კოლეგიის სხდომამდე არ უნდა მოეტანათ. ჟურნალისტები და სპორტული ხელმძღვანელები ინფორმირებული უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა ხდება გუნდში"; „გულშემატკივარი არ უნდა შევაჩვიოთ წაგებას"; „ზოგიერთი ფეხბურთელი მეტს იღებს და ითხოვს, ვიდრე გასცემს"; „გუნდში არ არის სასურველი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. ხელმძღვანელთა შორის არ იგრძნობა ერთსულოვნება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი თანამოაზრენი კი არ არიან, არამედ ერთ კოლექტივში ფორმალურად გაერთიანებული თანამშრომლები"; „დღეს უკვე მწვავედ იგრძნობა, რომ სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო თავს ვერ ართმევს მოვალეობას და იგი მთლიანად უნდა გადახალისდეს".**

## კოლეგიამ დაადგინა:

**სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ წრეში თბილისის „დინამოს" გამოსვლა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად.**

**გუნდის უფროს მწვრთნელს ნ. ახალკაცს მიეთითოს. სპორტსახკომის კოლეგია უცხადებს რა ნდობას, მასვე დაევალოს ერთი კვირის განმავლობაში გადაწყვიტოს ფეხბურთელთაგან ვინ სჭირდება გუნდს და ვინ — არა, რა ცვლილებები უნდა მოხდეს კოლექტივის ხელმძღვანელობაში, შეიმუშაოს წინადადებები, მიიღოს გადამჭრელი ზომები კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად და აღმზრდელობითი მუშაობის, დისციპლინის გასაუმჯობესებლად. კოლეგიამ სთხოვა პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომს, რომლის მდივანი შოთა კოხრეიძე კოლეგიის სხდომას ესწრებოდა, დაუყოვნებლივ შეისწავლონ, რამდენად სწორად ნაწილდება „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში სპორტისა და სპორტსმენებისთვის გამოყოფილი მანქანები, დასვან ამ საქმეში მხილებულ დამნაშავე პირთა პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი.**

**კოლეგიამ** გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი, მისი ხელმძღვანელობა, პირადად ნ. ახალკაცი, ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციები ფართო საზოგადოების მხარდაჭერით ყველაფერს იღონებენ, რათა რესპუბლიკის უპირველესმა საფეხბურთო კოლექტივმა დაძლიოს დღევანდელი სიძნელეები და კვლავ აღორძინდეს მისი საუკეთესო ტრადიციები.

„დინამოს" შესწევს გარდაქმნის უნარი და უნდა გარდაიქმნას კიდეც, ამას მოითხოვს ჩვენი სპორტის, ქართული ფეხბურთის ინტერესები.

---

საქართველოს მოსწავლეთა

XXXIV სპარტაკიადა

# თბილისელთა უპირატესობით

**ველოსიპედისტთა** შეჯიბრება მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამის ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება გახლდათ, გუნდური გამარჯვება, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის ველოსიპედისტებმა მოიპოვეს.

ადრე მოსწავლეთა სპარტაკიადების პროგრამაში გოგონათა ველოსპორტი არ შედიოდა. ამდენად, ამ სახეობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. ახლა, როცა გოგონათა ველოსპორტი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის სახეობად გამოცხადდა, მწვრთნელთა მუშაობაში შესაბამისი კორექტივები იქნა შეტანილი.

განსაკუთრებით გვახარებს აჭარის გოგონათა კოლექტივის გამარჯვება (სტელა პრიახინა, ლუბა პეტროვა, ელენა პონომარენკო). 25 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში (39.55,0) მათ უკან ჩამოიტოვეს თბილისის (40.49,0) და ქუთაისის (42.22,0) ველოსიპედისტები.

გოგონათა ინდივიდუალურ რბოლაში 15 კილომეტრზე ადგილები ასე განაწილდა: ოლგა საპრიკინა (თბილისი) — 24.32,0, სტელა პრიახინა (აჭარა, იგი პირად შეჯიბრებაში ასპარეზობდა) — 24.51,0 და ლეილა მუშკუდიანი (ქუთაისი) — 25.12,0.

ჭაბუკთა ასპარეზობებში პრიზიორთა შორის მოხვდნენ: 15 კმ. ინდივიდუალურ რბოლაში — ნიკოლოზ ბიკოვი — 33.48,0, ვასილ დავიდენკო — 34.35,0 და ანდრეი ჩისტიაკოვი (ყველა თბილისი) — 34.40,0; გუნდური რბოლა 75 კმ — თბილისი (ალექსანდრე სვეტინკოვი, ნიკოლოზ ბიკოვი, ვასილი დავიდენკო, ანდრეი ჩისტიაკოვი) — 1:40.20,0; რუსთავი — 1:41,35,0; ქუთაისი — 1:43.25,0; ჯგუფური რბოლა — ალექსანდრე პავლუხინი (აჭარა) — 2:56,30,0; ვასილ დავიდენკო (თბილისი) — 2:56.31,0, ალექსანდრე სკლიაროვი (რუსთავი) — 2:56.32,0.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 595 ქულა; 2. რუსთავი — 245,5; 3. ქუთაისი — 204; 4. ბთხაზეთი — 144; 5. მცხეთა — 94; 6. ლაგოდეხი — 30,5 (აჭარის ველოსიპედისტები პირად ჩათვლაში ასპარეზობდნენ).

---

საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზ

# დროა სასჯელიც გავამკაცროთ

ძვირფასო რედაქცია, დიდი ინტერესით ვკითხულობ ყველაფერს, რაც თქვენს გაზეთში ქართული ფეხბურთის შესახებ იბეჭდება. მხარს ვუჭერ მისი გაჯანსაღების, რესპუბლიკის საფეხბურთო მოედნებზე წესრიგის დამყარების მსურველთ. მაგრამ, ჩანს, მიღებული ზომები ზოგიერთ ფეხბურთელზე ჭკუისსასწავლებლად არ მოქმედებს. ამიტომ, ჩემი აზრით, დროა სასჯელი გავამკაცროთ. ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტი მინდა გავიხსენო: ეს იყო ამ 17-18 წლის წინათ. კასპში საქართველოს პირველობა ტარდებოდა ჭიდაობაში. ერთმა იქაურმა „ფალავანმა", რომელმაც შეხვედრა წააგო, ჩო... გაიხადა და მეტოქეს მიაფურთ... სახეში. ხულიგანი იქვე გაასამართ... ლეს — რაიონის პროკურორმა და სახალხო მოსამართლემ, რომლები... შეჯიბრებას ესწრებოდნენ, 15 დღ... პატიმრობა მიუსაჯეს და დარბაზ... დანვე წაიყვანეს სასჯელის მოსა... დელად. ჩემი აზრით, ზოგიერთი... თვის სწორედ ასეთი რადიკალურ... ზომა გამოდგება ჭკუისსასწავლე... ლად.

**გიორგი ბალაძე**

**მცხეთა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

49

28 ივნისის მატჩებით დამთავრდა სსრ კავშირის 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე, თუმცა, კიევის დინამოელებს გამოტოვებული აქვთ 9 კალენდარული და, გარდა ამისა, IX ტურიდან 5 ივლისისთვის გადატანილია „დნეპრისა" და „სპარტაკის" შეხვედრა. კიევის დინამოელები მალე ჩაებმებიან ჩემპიონატში, 4 ივლისს ისინი ვილნიუსში შეხვდებიან „ჟალგირისს".

**„არარატი" — „სპარტაკი" 1:0 (1:0).** გოლი 44-ე წუთზე გაიტანა რაფ. გალუსტიანმა (11-მეტრიანი).

დუბლიორები — 1:4.

**„ნეფთჩი" — „დინამო" (მოსკოვი) 0:0.**

დუბლიორები — 1:2.

**„დინამო" (მინსკი) — „მეტალისტი" 1:0 (1:0).** გოლი: სოკოლი.

გააფრთხილეს მინსკელი როდნენოკი და ხარკოველი კასუმოვი.

დუბლიორები — 2:2.

**„ქაირათი" — „ჟალგირისი" 4:1 (0:1).** 33-ე წუთზე დაწინაურდნენ სტუმრები — 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა ნარბეკოვასმა. შესვენების შემდეგ კარაჩუნმა, იაკოვენკომ, სოროკინმა და მასუდოვმა ზედიზედ 4 ბურთი გაიტანეს ვილნიუსელთა კარში.

დუბლიორები — 0:2.

**„ტორპედო" — „ზენიტი" 1:1 (0:0).** გოლები: გრეჩნევი („ტორპედო", 11-მეტრიანი), სალენკო („ზენიტი").

დუბლიორები — 0:2.

◎ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა სიას კვლავინდებურად ლიდერობენ ბაქოელი მ. ახმედოვი და მოსკოვის ტორპედოელი ი. სავიჩევი, რომლებმაც 8-8 ბურთი გაიტანეს. 7-7 გოლია ა. ბოროდიუკისა („დინამო", მოსკოვი) და ი. ტარასოვის („მეტალისტი", ხარკოვი) ანგარიშზე.

◎ **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრმა" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა მეტოქის მინდორზე.

◎ **I ლიგის** გუნდების საკავშირო გათამაშებაში ლანჩხუთის „გურიასა" და სმოლენსკის „ისკრას" შორის სმოლენსკელთა კარში ბურთები გაიტანეს ებანოიძემ და ფრიდონაშვილმა. ბათუმის დინამოელებმა კიშინიოვში ფრედ ითამაშეს „ნისტრუსთან" — 1:1, ბათუმელთაგან ბურთი გაიტანა გორგილაძემ.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

**მდგომარეობა 8 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" | 14 | 10 | 2 | 2 | 35-16 | 22 |
| „სპარტაკი" | 13 | 9 | 2 | 2 | 40-13 | 20 |
| „ჩერნომ." | 15 | 7 | 5 | 3 | 25-18 | 19 |
| „დინ." თბ. | 15 | 7 | 3 | 5 | 19-17 | 17 |
| „შახტიორი" | 13 | 6 | 4 | 3 | 20-16 | 16 |
| „ტორპ." მ. | 13 | 5 | 5 | 3 | 17-12 | 15 |
| „ზენიტი" | 14 | 5 | 5 | 4 | 21-18 | 15 |
| „დინამო" მ. | 14 | 5 | 3 | 6 | 17-19 | 13 |
| „დინ." მნ. | 14 | 3 | 7 | 4 | 11-15 | 13 |
| „ჟალგირ." | 14 | 5 | 2 | 7 | 20-20 | 12 |
| „არარატი" | 15 | 5 | 2 | 8 | 10-18 | 12 |
| „მეტალის." | 14 | 3 | 6 | 5 | 11-13 | 12 |
| „ტორპ." ქ. | 15 | 3 | 3 | 9 | 14-31 | 9 |
| „დინამო" კ. | 7 | 3 | 2 | 2 | 13-12 | 8 |
| „ქაირათი" | 14 | 2 | 4 | 8 | 7-23 | 8 |
| „ნეფთჩი" | 14 | 2 | 3 | 9 | 8-27 | 7 |

## I ლიგა

1 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XX ტურის მატჩები.

**„გურია" (ლანჩხუთი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 3:0 (1:0).**

**ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 1 ივლისი.**

**„გურია"**, **გ. იმნაძე, დანელია, შვეცოვი, ე. თევზაძე, მელიქია, ებანოიძე (თოფურიძე), კოპალეიშვილი, გ. თევზაძე (ტყებუჩავა), ჩხაიძე (თ. იმნაძე), ფრიდონაშვილი, აკოფიანი.**

**„შინიკი": ჩურკინი, ხოტნიკოვი, კურიცინი, ცენინი, მოროზოვი, მარტიანოვი, პანტელეევი, ბილიალეტდინოვი, მენტიუკოვი (გავრილოვი), გორიუხოვი, როდიონოვი.**

**მსაჯი ვ. ბალაკინი (კიევი).**

**გააფრთხილეს ლ. მელიქია.**

„შინიკის" შემადგენლობაში რამდენიმე ფეხბურთელია, რომლებიც ადრე უმაღლეს ლიგაში თამაშობდნენ, ამდენად მასპინძლები, რომლებიც ზონის ერთ-ერთი ლიდერის როლში გვევლინებიან, საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე იმყოფებოდნენ. მაგრამ ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა წარმატებით გაართვეს თავი სიძნელეებს, ისინი თანდათან სულ უფრო მეტ ტერიტორიულ უპირატესობას აღწევდნენ და სტუმრებიც მეტწილად საკუთარი კარის უხიფათობაზე ზრუნავდნენ.

მიმდინარეობდა შეხვედრის 25-ე წუთი, როცა კოპალეიშვილის გადაცემის შემდეგ კარგად ითამაშა ჩხაიძემ და გახსნა ანგარიში — 1:0. „გურიის" უპირატესობა კიდევ უფრო ცხადი შეიქნა მეორე ტაიმში, 70-ე წუთზე აკოფიანმა მეორედ აღლო იაროსლაველთა კარი, 73-ე წუთზე კი ფრიდონაშვილისა და ჩხაიძის სწრაფი კომბინაციის შემდეგ ანგარიში გახდა 3:0 „გურიის" სასარგებლოდ. ამ მატჩში ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა გააზრებული, ენერგიული თამაში აჩვენეს მაყურებელს.

**ავთანდილ ორმოცაძე.**

**(ტელეფონით ჩვენი კორ.).**

**წარმატებით** ითამაშეს ბათუმის დინამოელებმაც. ისინი ლვოვში შეხვდნენ ადგილობრივ ასკ „კარპატის" და ფრედ დაამთავრეს თამაში — 2:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ატლანტასი" (კლაიპედა) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:1, „დაუგავა" (რიგა) — ასკ (დონის როსტოვი) 4:2, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 1:1, „პამირი" (დუშანბე) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 0:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ისკრა" (სმოლენსკი) 4:0, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:1, ცსკა — ასკ (ხაბაროვსკი) — 3:0, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:2, „დინამო" (სტავროპოლი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 1:2.

**საქართველოს გუნდები მორიგი, XXI ტურის მატჩს გამართავენ 9 ივლისს. ბათუმში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „დინამო" და ლანჩხუთის „გურია".**

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 8 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა" | 19 | 13 | 4 | 2 | 42-20 | 30 |
| ცსკა | 19 | 12 | 5 | 2 | 35-15 | 29 |
| „გურია" | 19 | 11 | 4 | 4 | 30-22 | 26 |
| „პამირი" | 19 | 8 | 8 | 3 | 28-18 | 24 |
| „როტორი" | 19 | 11 | 1 | 7 | 27-18 | 23 |
| „როსტსელ." | 19 | 8 | 6 | 5 | 34-26 | 22 |
| „ლოკომ." | 19 | 8 | 6 | 5 | 25-18 | 22 |
| „კოლოსი" | 20 | 8 | 6 | 6 | 19-20 | 22 |
| ასკ „კარ." | 19 | 8 | 5 | 6 | 33-21 | 21 |
| „დინამო" ბ. | 19 | 8 | 5 | 6 | 22-24 | 21 |
| „ფახთაქ." | 19 | 9 | 2 | 8 | 26-28 | 20 |
| „მეტალურ." | 18 | 7 | 4 | 7 | 23-20 | 18 |
| „შინიკი" | 19 | 7 | 4 | 8 | 12-14 | 18 |
| „ყუბანი" | 19 | 4 | 10 | 5 | 16-15 | 18 |
| ასკ რ. | 19 | 7 | 3 | 9 | 19-21 | 17 |
| „სპარტაკი" | 19 | 5 | 7 | 7 | 26-25 | 17 |
| „კოტაიკი" | 19 | 4 | 9 | 6 | 11-14 | 17 |
| „დინ." სტ. | 19 | 3 | 10 | 6 | 19-19 | 16 |
| „ფაკელი" | 19 | 5 | 5 | 9 | 17-23 | 15 |
| „ისკრა" | 19 | 5 | 4 | 10 | 11-24 | 14 |
| „ატლანტ." | 19 | 4 | 5 | 10 | 12-24 | 13 |
| „კუზბასი" | 19 | 3 | 7 | 9 | 17-31 | 13 |
| „ნისტრუ" | 19 | 3 | 4 | 12 | 13-40 | 10 |
| ასკ ხ. | 19 | 2 | 6 | 11 | 15-32 | 10 |



მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი ფეხბურთში არგენტინის ეროვნული ნაკრები.

## მსოფლიო ჩემპიონებს — ღირსეული პატივისცემა

**ბუენოს-აირესი. 1 ივლისი.** არგენტინელმა ფეხბურთის მოყვარულებმა ღირსეული შეხვედრა მოუწყვეს თავიანთ ფეხბურთელებს, რომლებიც ბუენოს-აირესში დაბრუნდნენ მსოფლიო ჩემპიონთა ოქროს მედლებით.

დედაქალაქის აეროპორტში გამთენიიდან ასეულ ათასობით გულშემატკივარმა მოიყარა თავი, ისინი თან გაჰყვნენ ფეხბურთელებს პრეზიდენტის სასახლისკენ, სადაც მსოფლიო ჩემპიონები მიიღო არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაულ რიკარდო ალფონსინმა. სახელმწიფოს მეთაურმა დიდი გამარჯვება მიულოცა ფეხბურთელებს და გუნდის უფროს მწვრთნელს კარლოს ბილარდოს, გადაეხვია არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავს დიეგო მარადონას. შეკრებილნი ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ ფეხბურთელებს, რომლებიც ოქროს თასით ხელში გამოვიდნენ პრეზიდენტის სასახლის აივანზე, განსაკუთრებით აღნიშნეს ბილარდოსა და მარადონას დამსახურება.

მილიონობით ადამიანი ზეიმობდა არგენტინის ნაკრების წარმატებას; კვირას საღამოთი ბუენოს-აირესის ცენტრალურ ქუჩებზე და მოედნებზე ტევა არ იყო, არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების წარმატებამ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია მთელს ქვეყანაში.

## მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები

**როგორც** ეს ტრადიციითაა დადგენილი, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შეადგინეს სამყაროს სიმბოლური ნაკრები.

„სიმბოლურის" შემადგენლობაში არიან: მეკარე შუმახერი (გფრ), მცველები — ჟოზიმარი, სეზარი (ბრაზილია), ბოსი, ამორო (საფრანგეთი), შუა ხაზის ფეხბურთელები — მარადონა (არგენტინა), ფერნანდესი (საფრანგეთი), კულემანსი (ბელგია), ფორვარდები — კარეკა (ბრაზილია), ბელანოვი (სსრ კავშირი), ლაუდრუპი (დანია).

საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონთაგან იდეალურ ნაკრებში მოხვდა მხოლოდ მარადონა, მაგრამ იგი ერთადერთია, ვინც ამ სიაში ერთხმად იქნა შეყვანილი.

## ჩემპიონატის ტაბლო

**მატჩი № 51. III ადგილისთვის. საფრანგეთი — ბელგია 4:2 (ძირითადი დრო — 2:2).** პუებლა. 28 ივნისი. 21.500 მაყურებელი. მსაჯი ჯ. კურტნეი (ინგლისი). **საფრანგეთი:** რიუსტი, ბიბარი, ლე რუ (ბოსი), ბატისტონი, ამორო, ტიგანა (ტიუსო), ფერარი, ვერკრიუისი, ჟენგინი, პაპენი, ბელონი; **ბელგია** — პფაფი, გერეტსი, დელ მოლი, რენკინი (ფ. ვანდერელსტი), გრიუნი, შიფო (ლ. ვანდერელსტი), ვერვოორტი, მომენსი, კულემანსი, ვეიტი, კლასენი. გოლები: კულემანსი, კლასენი (ბელგია), ფერერი, პაპენი, ჟენგინი, ამორო (საფრანგეთი). გააფრთხილეს პფაფი.

**მატჩი № 52. 1 ადგილისთვის. არგენტინა — გფრ 3:2 (1:0).** მეხიკო. „აცტეკას" სტადიონი. 114.500 მაყურებელი. მსაჯი რ. არპი ფილიო (ბრაზილია). **არგენტინა:** პუმპიდო, კუსიუფო, რუჟერი, ბრაუნი, ოლარტიკოეჩეა, ბატისტა, ხიუსტი, ბურუჩაგა (ტრობიანი), ენრიკე, მარადონა, ვალდანო; **გფრ:** შუმახერი, ბრემე, ფიორსტერი, იაკობსი, ბრიგელი, ბერტოლდი, ედერი, მათეუსი, მაგატი (ჰიონესი), რუმენიგე, ალოფსი (ფიოლერი). გოლები: ბრაუნი, ვალდანო, ბურუჩაგა (არგენტინა), რუმენიგე, ფიოლერი (გფრ). გააფრთხილეს მარადონა, ოლარტიკოეჩეა, ენრიკე, პუმპიდო, მათეუსი, ბრიგელი.




## 40 საუკეთესო

**ბრაზილიის** გაზეთმა „ფოლია დი სან-პაულუმ" განსაზღვრა განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის 40 საუკეთესო ფეხბურთელი, რომელთა თამაში 10-ბალიანი სისტემით შეაფასა. საბჭოთა გუნდიდან მსოფლიო ჩემპიონატის 40 საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვდნენ ი. იარემჩუკი, ი. ბელანოვი, ა. დემიანენკო და პ. იაკოვენკო.

პირველ ადგილზეა არგენტინელთა კაპიტანი, მსოფლიო ჩემპიონი დიეგო მარადონა, რომელმაც 8,29 ბალი მიიღო. მეორე ადგილზეა ბრაზილიელი ოლივეირა კარეკა — 7,45.

საუკეთესოთა სიაში მესამე და მეოთხე ადგილებზე არიან ივანე იარემჩუკი — 8,36 ბალი და იგორ ბელანოვი — 7,28.

## 14 არბიტრი — 17 შეცდომა

**მსოფლიოს** განვლილ საფეხბურთო ჩემპიონატზე მრავალი პრეტენზია წაუყენეს მსაჯებს, საერთაშორისო სპორტული პრესა ახლაც განაგრძობს საუბარს არბიტრთა ამ შეცდომებზე. გამოიანგარიშეს კიდეც, რომ 14 არბიტრმა 17 შეცდომა დაუშვა, რომლებმაც გავლენა იქონიეს მატჩების შედეგებზე, ვიდეოჩანაწერებმა დაადასტურეს მსაჯთა მრავალი უზუსტობა და ლაფსუსი. მათგან უპირველესი აღნიშვნის ღირსია ის გოლი, რომელიც ბრაზილიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრაში არ ჩათვალა ავსტრალიელმა არბიტრმა ქ. ბემბრიჯმა (ბურთი ესპანელებმა გაიტანეს), გფრ — ურუგვაისა და იტალია — არგენტინის გუნდების შეხვედრებში არდანიშნული 11-მეტრიანები. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ გვერდითი მსაჯების შეცდომებს და სანიმუშოდ მოჰყავთ საბჭოთა კავშირისა და ბელგიის გუნდების შეხვედრა, სადაც ბელგიელებმა აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს ორი ბურთი.

# ოლიმპიური წილისყრა

**მსოფლიო** ჩემპიონატის დღეებში მეხიკოს „კამინო რეალის" სასტუმროში მოთავსებული იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბი. აქ მოეწყო წილისყრა, რომელმაც გამოავლინა 1988 წლის ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის წინასწარი ჯგუფები.

115 ქვეყნის ფედერაციებმა სურვილი განაცხადეს ითამაშონ სეულის (სამხრეთ კორეა) ოლიმპიადაზე, მათგან 27 — ევროპის წარმომადგენელია. წილისყრას ხელმძღვანელობდნენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვ. კოლოსკოვი და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ი. ბლატერი.

ევროპის გუნდები წინასწარ შესარჩევ ჯგუფში ასე განაწილდნენ:

**I ჯგუფი. გფრ, პოლონეთი, რუმინეთი, დანია, აგრეთვე, საბერძნეთისა და კიპროსის გუნდებს შორის გამარჯვებული.**

**II ჯგუფი. იტალია, გდრ, პორტუგალია, ჰოლანდია, ისლანდია.**

**III ჯგუფი. საფრანგეთი, უნგრეთი, ესპანეთი, შვეცია, ირლანდია,**

**IV ჯგუფი. ნორვეგია, სსრ კავშირი, ბულგარეთი, თურქეთი, აგრეთვე, შვეიცარიისა და ლიხტენშტეინის გუნდებს შორის გამარჯვებული.**

**V ჯგუფი. იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, ბელგია, ფინეთი.**

ოლიმპიადის ფინალში თამაშის უფლება მიეცემათ მხოლოდ ჯგუფებში გამარჯვებულთ. ოლიმპიურ შეჯიბრებებში ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელთაგან მხოლოდ მათ მიეცემათ თამაშის უფლება, ვისაც მსოფლიო ჩემპიონატის არც ერთი მატჩი არ უთამაშია შესარჩევ თუ ფინალურ ტურნირებში. სხვა კონტინენტებზე ეს აკრძალვა არ ვრცელდება.

საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებს ხელმძღვანელობს კიევის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი ა. ბიშოვეცი. ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში მან თბილისის „დინამოდან" მიიწვია დ. კუდინოვი.

ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის კალენდარი ჩვენი გუნდისთვის მოგვიანებით გამოქვეყნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# „ძველი გვარდია" მწყობრშია

28 და 29 ივნისს ქუთაისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის („ა" ფინალური ჯგუფის) მორიგი ტურის შეხვედრები. ქუთაისის „მშენებელმა" მოსკოვის „ფილის" უმასპინძლა.

მკითხველმა უკვე იცის იმის შესახებ, რომ გუნდს წლეულს დიდი გასაჭირი დაუდგა: ძირითადი შემადგენლობის 6 მოთამაშე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, რამდენიმე წამყვანი რეგბისტი (ლილუაშვილი, შავგულიძე, ნაჭყებია და სხვა) დაშავდა, ოლეგ ლიპარტელიანი კი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ზიმბაბვეში იმყოფება. ამიტომ მთელი სიმძიმე იმ ვეტერან რეგბისტებს დააწვათ მხრებზე, რომლებიც 2-3 წლის წინ გამოეთხოვნენ აქტიურ სპორტს და ახლა, გასაჭირის ჟამს დაუბრუნდნენ კოლექტივს. ქუთაისელმა რეგბის მოყვარულებმა კვლავ იხილეს ვახტანგ შვანგირაძის, ავთანდილ გიორგაძის, ამირან ისაკაძისა და სხვათა თამაში.

პირველი მატჩის პირველ წუთებში „მშენებელს" გაუჭირდა კოლექტიური თამაში და მე-5 და მე-12 წუთებზე მოსკოველებმა ორჯერ გამოიყენეს საჯარიმო დარტყმა — 0:6. საბედნიეროდ, ამ მარცხმა არ დააბნია ქუთაისელები. აქ მონდომებით ამოქმედნენ ვეტერანები და მატჩის მსვლელობაში გარდატეხა მოხდა — გააქტიურდნენ შერკინების ხაზის მოთამაშეები და მათი გააზრებული შეტევის შედეგად მასპინძლებმა მე-15 წუთზე ბურთი სტუმართა ჩათვლის მოედანს შეახეს. რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა გიორგაძემ და ანგარიში გათანაბრდა — 6:6. მეორე ტაიმი ქუთაისელთა სრული უპირატესობით წარიმართა. 42-ე და 65-ე წუთებზე კვლავ გიორგაძემ ისახელა თავი. მან საკმაოდ რთული მდგომარეობიდან (35-40 მეტრიდან, თანაც მახვილი კუთხიდან) ორჯერ ზუსტად დაარტყა საჯარიმო. „მშენებელი" დაწინაურდა — 12:6. გამოცდილი მოსკოველები შეეცადნენ ორივე ფლანგიდან სახიფათო შეტევა განეხორციელებინათ, მაგრამ ქუთაისელებმა დაცვაშიც კარგად ითამაშეს, მეტიც, მატჩის ბოლოს, მე-80 წუთზე შედეგიანი კონტრშეტევაც განახორციელეს — 16:6.

დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა მეორე შეხვედრაც. ბუნებრივია, ვეტერანებმა ველარ გაუძლეს დატვირთვას, მით უმეტეს, რომ მოსკოველებმა ამჯერად ყურადღება გაამახვილეს სამმეოთხედელთა თამაშზე, სისწრაფეში აჯობეს მასპინძლებს, ორჯერ მოახერხეს მეტოქეთა ქალაქის აღება და ერთხელ რეალიზაციის გამოყენება. მასპინძლებმა მხოლოდ ორი საჯარიმო დარტყმა შეასრულეს ზუსტად, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი კი ხელიდან გაუშვეს — 6:10.

მიუხედავად დამარცხებისა, ამ შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ „მშენებელს" უკეთ შეუძლია თამაში. როცა დაშავებული მოთამაშეები გამოჯანმრთელდებიან და ვეტერანებიც ფორმაში ჩადგებიან, გუნდი, ალბათ, დანარჩენ შეხვედრებს უკეთესად ჩაატარებს.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 2 ივლისისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სლავა" | 15 | 12 | 1 | 2 | 40 |
| სსა | 14 | 12 | 1 | 1 | 39 |
| „ლოკ." (მ.) | 15 | 10 | 1 | 4 | 36 |
| ასკ | 15 | 10 | 0 | 5 | 35 |
| „ფილი" | 15 | 7 | 1 | 7 | 30 |
| „ავიატორი" | 15 | 7 | 1 | 7 | 30 |
| ეტს | 15 | 5 | 1 | 9 | 26 |
| „მშენებელი" | 14 | 5 | 1 | 8 | 25 |

მორიგ ტურში, 5-6 ივლისს, „მშენებელი" მოსკოვში შეხვდება „სლავას".

• • •

„ბ" ფინალის მონაწილე თბილისის „შევარდენმა" ორი გასვლითი მატჩი გამართა — ჯერ მოსკოვში დამარცხდა, „სპარტაკთან" — 6:8, გასულ კვირას კი ტირასპოლის „ელექტრომაშთანაც" წააგო—3:10. ახლა „შევარდენსა" და თბილისის „ლოკომოტივს" 4:4 თამაშის შემდეგ 8-8 ქულა აქვთ (2 მოგება, 2 წაგება).

კვირას, 6 ივლისს, მორიგ ტურში, „შევარდენი" უმასპინძლებს „პრიმორეცს", ხოლო „ლოკომოტივი" კიევში „პოლიტექნიკს" ეთამაშება.

# უძლიერესები ესპანეთში იკრიბებიან

5-20 ივლისს ესპანეთში ჩატარდება კალათბურთელ ვაჟთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. გუშინ საბჭოთა კავშირის ნაკრები მოსკოვიდან მადრიდს გაფრინდა. მან უნდა დაიცვას ჩემპიონის ტიტული, რომელიც 4 წლის წინ კოლუმბიაში მოიპოვა.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში 12 კალათბურთელია: მცველები — ვალდის ვალტერსი, ვალდემარას ხომიჩუსი, რიმას კურტინაიტისი და ტიიტ სოკი; თავდამსხმელები ვალერი ტიხონენკო, სერგეი ტარაკანოვი, ალექსანდრე ვოლკოვი და ადრის ეკობსონი; ცენტრალური თავდამსხმელები — არვიდას საბონისი (218 სმ), ვლადიმერ ტკაჩენკო (220 სმ), ალექსანდრე ბელოსტენნი (214 სმ) და სერგეი გრიშაევი (208 სმ).

ჩემპიონატში მონაწილე 24 გუნდი ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი. საბჭოთა ნაკრები წინასწარ თამაშებს ქალაქ ელ-ფეროლში ჩაატარებს. ყოველი ჯგუფიდან პირველ სამ ადგილზე გასული კოლექტივები ნახევარფინალში იასპარეზებენ. ეს თამაშები ბარსელონაში ჩატარდება. ნახევარფინალის ორ-ორი საუკეთესო კოლექტივი მადრიდში მსოფლიო ჩემპიონატის საპრიზო ადგილებს გაითამაშებს.

**ინფორმაცია**

**იენა.** გდრ-ის მძლეოსანთა ჩემპიონატში მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. 800 მეტრზე რბენაში ქალთა შორის პირველი ადგილი (სეზონის საუკეთესო შედეგით) ზიგრუნ ვოდარსმა დაიკავა— 1.57,05. 400 მეტრზე თარჯრბენში საბინე ბუშმა ასევე მაღალი დრო (53,85) აჩვენა.

**კიევი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში (კოშკი) მინსკელმა ანჟელა სტასიულევიჩმა (487,44 ქულა) და ვორონეჟელმა ჟენადი სტაროდუბცევმა (641,34 ქულა) მოიგეს.

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურის მატჩები. გთავაზობთ მათ სტატისტიკურ მონაცემებს.

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ივერია" (ხაშური) 0:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).**

**ასკ (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).**

მეტოქეებისადმი არასპორტული მოქცევისათვის გააფრთხილეს ყვარლელი ფეხბურთელები რ. ხუციშვილი და ვ. თინიკაშვილი.

**„მადნეული" (ბოლნისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 5:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ჯაფარიძე, ბეს. უგულავა-2, დოლიძე-2 („მადნეული").

**„შევარდენი"-სპი (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 2:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლები: ქობელაშვილი-2 („შევარდენი"-სპი), აბდულაევი („კახეთი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თელაველი ფეხბურთელი გ. ბაქრაძე.

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „არმაზი" (მცხეთა) 0:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).** გოლი: იორამაშვილი („არმაზი").

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს მცხეთელი ფეხბურთელები გ. ქობელაშვილი და ც. სოხაშვილი.

**საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო სპორტკომიტეტის კოლეგიის დადგენილებით თბილისის „სინათლე" მოიხსნა საქართველოს ჩემპიონატიდან.**

საქართველოს პირველობა

**ვინაიდან გუნდმა ჩაატარა კალენდარულ შეხვედრათა 50 პროცენტზე მეტი, ყველა დარჩენილ შეხვედრაში, დებულების შესაბამისად, „სინათლის" მეტოქეებს ჩაეთვლებათ გამარჯვებები.**

**დასავლეთი ჯგუფი**

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: სვანაძე, ხარაბაძე („შადრევანი"), როყვა („მერცხალი").

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ჩიქობავა, კირთაძე, ბალუშვილი („ეგრისი"), ხელაია, თარბა („სალხინო").

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს გეგეჭკორელი ფეხბურთელი რ. ბართია.

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ჩინჩალაძე („საპოვნელა"), ლოგუა („ამირანი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი ფეხბურთელი გ. ვართანოვი.

**„სამეგრელო" (ჩოხროწყუ) — „იმერეთი" (ქუთაისი) 3:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლები: ახალაია, სიჭინავა („სამეგრელო"), ქართსანიძე („იმერეთი", საკუთარ კარში), არაბიძე („იმერეთი").

**„სქური" (წალენჯიხა) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).** გოლები: აფხაზავა, ქვირთია („სქური"), სართანია („დინამო").

**„ბახმარო" (ჩოხატაური) — „დინამო" (გაგრა) 1:0. მსაჯი ვ. ტონოკანიანი (ახალქალაქი).** გოლი: გიორგაძე („ბახმარო").

**II ლიგა**

**აღმოსავლეთი ზონა.** „მშენებელი" (რუსთავი) — „განთიადი" (კასპი) 3:3, „თრიალეთი" (წალკა) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:0, „გარეჯი" (საგარეჯო) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 0:1, „სამგორი" (გარდაბანი) — „არაგვი" (დუშეთი) 1:1, „გარისი" (თეთრი წყარო) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:3, „აკრიანი" (მარტყოფი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:2 „სიონი" (დმანისი) — „მუხნარი" (მუხრანი) 1:1.

**ცენტრალური ზონა.** „თორი" (ბორჯომი) — „ვარძია" (ასპინძა) 0:0, „კოლმეურნე" (ტყიბული) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:1, „იბერია" (ქარელის რ-ნი) — „იმერეთი" (წულუკიძე) 5:3, „მესხეთი" (ახალციხე) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 1:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 1:0, „დილა" (წულუკიძე) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:1, „აბული" (ახალქალაქი) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 2:0.

**დასავლეთი ზონა.** „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 1:0, „ზანა" (აბაშა) — „ნარინჯი" (ქობულეთი) 3:2, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „კოლმეურნე" (გაგრა) 3:1, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „მზიური" (გალი) 1:3, „ნაპერწკალი" (ოქუმი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:2, „დვაბზუ" (მახარაძე) — „დინამო"-2 (ბათუმი) 3:1.

# „ვერცხლის ბუცი" — ოლეგ პროტასოვს

**დამთავრდა** ევროპის ყველა ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები, გამოვლინდნენ ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელები, რომლებსაც ტრადიციისამებრ გადაეცემათ ფრანგული ყოველკვირეული გამოცემა „ფრანს ფუტბოლის" საგანგებო პრიზები.

**„ოქროს ბუცით"** დაჯილდოვდა ევროპის საუკეთესო ბომბარდირი, ჰოლანდიის „აიაქსის" თავდამსხმელი ვან ბასტენი, რომელმაც 37 ბურთი გაიტანა.

**„ვერცხლის ბუცის"** მფლობელი გახდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თავდამსხმელი ოლეგ პროტასოვი. სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონატში მან 36 ბურთი გაიტანა. საინტერესოა, რომ ევროპის საუკეთესო ბომბარდირთა რიცხვში ოლეგ პროტასოვი პირველია, რომელიც ამგვარი პრიზით დაჯილდოვდა საბჭოთა ფეხბურთელთაგან.

**„ბრინჯაოს ბუცი"** გადაეცა ორ ფეხბურთელს — ავსტრიელ პოლსტერს და თურქ ჩოლაქს, რომლებმაც 33-33 ბურთი გაიტანეს.

**ეკრანზე და ეთერში**

**ცენტრალური ტელევიზია. 3 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.20 (2)**; ჩოგბურთი: უიმბლდონის ტურნირი — **23.40 (2)**.

**4 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; კეთილი ნების თამაშები: ცურვა — **19.00 (2)** და **21.15 (2)**; ჩოგბურთი: უიმბლდონის ტურნირი — **24.00 (2)**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების კავშირი „მონკავშირი" 5-6 ივლისს თბილისში, გამარჯვების პარკში (ვაკე) აწყობს სანადირო ძაღლების 46-ე რესპუბლიკურ დათვალიერებას. დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება ეძლევა ყველა ჯიშის სანადირო ძაღლს, რომელსაც აქვს საგვარეულო მოწმობა.

10 თვიდან 3 წლამდე ასაკის ძაღლები შემოწმებას გაივლიან 5 ივლისს, 3 წლიდან 10 წლამდე ასაკის ძაღლები — 6 ივლისს. ამავე დღეს ჩატარდება ყველა ასაკის ძაღლების კომპლექსური შემოწმება (ბონიტირება) და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

დათვალიერება დაიწყება 10 საათზე.

დათვალიერებაზე მოწვეულია ვეტერინართა კომისია, რომელიც ჩაატარებს ძაღლების აცრას.

**საქართველოს „მონკავშირის" პრეზიდიუმი.**



**თბილისის სპორტის სასახლე მიმდინარე წლის 6 ივლისიდან ყოველ შაბათ-კვირას და სადღესასწაულო დღეებში ატარებს შეჯიბრებას მინი-ფეხბურთში თბილისის ქუჩების გუნდებს შორის.**

შეჯიბრების მონაწილენი უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო მომსახურებით, მათ განკარგულებაში იქნება კეთილმოწყობილი გასახდელები და საშხაპეები. გუნდების შესარჩევად კენჭისყრა ჩატარდება 4 ივლისს 19 საათზე, სასახლის სპორტულ განყოფილებაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ დილის 10 საათიდან 17 საათამდე. ტელეფონი: 36-22-03.

# მსოფლიოს სპორტული ივლისი

**ივლისის** თვის სპორტულ კალენდარში სამი დიდი კომპლექსური შეჯიბრებაა შეტანილი, რომელთაგან უმთავრესად, ცხადია, კეთილი ნების თამაშები უნდა მივიჩნიოთ. დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები. ანალოგიური ტიპის კომპლექსური შეჯიბრებაა თანამეგობრობის თამაშები, რომელიც ედინბურგში ჩატარდება.

**4-15.** ევროპის ჩემპიონატი აფროსნობაში. „სოლინგის" კლასი. ვარნემიუნდე (გდრ).

**4-20.** კეთილი ნების თამაშები. მოსკოვი. ტალინი, იურმალა.

**5.** კეთილი ნების თამაშების საზეიმო გახსნა. მოსკოვი.

**5-16.** ცენტრალური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები. სანტიაგო-დე-ლოს-კაბალიეროსი (დომინიკანელთა რესპუბლიკა).

**5-20.** მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის (ესპანეთი).

**9-13.** მსოფლიო ჩემპიონატი ცხენოსნობაში. დაბრკოლებათა გადალახვა. ახენი (გფრ).

**11-19.** მსოფლიო ჩემპიონატი აფროსნობაში. „ვარსკვლავის" კლასი. მედემბლიკი (ნიდერლანდები).

**24 ივლისი-2 აგვისტო.** თანამეგობრობის თამაშები. ედინბურგი. (დიდი ბრიტანეთი).

**25 ივლისი-3 აგვისტო.** მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. სოფია (ბულგარეთი).

შარშან მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი ბარსელონაში ჩატარდა. ოქროს მედლები მოიპოვეს: რაპირა (ქალები). პირადი — კორნელია ჰანიშმა (გფრ). გუნდური — გფრ-მ; ვაჟები. რაპირა. პირადი — მაურო ნუმამ (იტალია), გუნდური — იტალიამ; ხმალი. პირადი — დიერდ ნებალდმა (უნგრეთი), გუნდური — სსრ კავშირმა; დაშნა. პირადი — ფილიპ ბუასმა (საფრანგეთი), გუნდური — გფრ-მ.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:**
**66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502